ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31233356**
თარიღი: **01/12/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

სხდომის ოქმი N 9

ქ. ლანჩხუთი

28.11.2023 წელი

15:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **კახაბერ ასკურავა.**

ფრაქციის წევრები: **გიორგი გოგუაძე, გივი ცინცაძე, ირმა მგელაძე.**

სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: . ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი მარინა კეიდია, სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის ბუღალტერი მარინა ქანთარია, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელი გოდერძი ქურიძე, კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ბუღალტერი ანზორ როყვა, შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი გურამ მახარაძე, ცენტრის ბუღალტერი ლელი მშვიდობაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ხათუნა ვადაჭკორია.

ფრაქციის სხდომის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის 2024 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

2. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების 2024 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

3. შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის 2024 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

დღის წესრიგის პროექტის მიმართ ფრაქციის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 4; წინააღმდეგი არცერთი.

კახა ასკურავამ განაცხადა მიუხედავად იმისა, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წარმოადგენს ოპოზიციურ პარტიას, მაგრამ ეცდებიან მხარი დაუჭირონ წარმოდგენილ სამსახურებს და იყვნენ მათი ლობისტები. ფრაქციის წევრების სურვილია მოისმინონ ხელმძღვანელების ხედვები, მოსაზრებები და გაითვალისწინონ მათი ინტერესები.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის 2024 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის შესახებ ისაუბრა სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა **მარინა კეიდიამ.** მან აღნიშნა, რომ 2024 წლისთვის ბიუჯეტი დაგეგმილია 4 416 300 ლარით. გათვლილია სახელფასო 10% მატება და დამატებული100 ლარი თითოეულ თანამშრომელზე. ამჟამად 21 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა და 850 აღსაზრდელია დარეგისტრირებული.

კახა ასკურავა დაინტერესდა, სააღმზრდელო ცენტრს ჰყავს თუ არა თანამშრომელი რომლის ანაზღაურება 400 ლარზე ნაკლებია, რაზეც მარინა კეიდიამ განმარტა, რომ არის ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლები, რომლებიც სხვა სამსახურშიც არიან დასაქმებული. მაგალითად მუსიკის მასწავლებლები.

ირმა მგელაძემ განაცხადა, რომ სუფსაში აშენდა საბავშვო ბაღი, რომელიც გათვლილია 100 ბავშვზე. ახალსოფლის საბავშვო ბაღი კი - გაუქმდა და აღსაზრდელებმა სუფსაში უნდა იარონ. ის დაინტერესდა თუ ვისი გადაწყვეტილებით დაიხურა ახალსოფლის საბავშვო ბაღი და იმავე სოფელში რატომ არ აშენდა ახალი; რატომ არ იფუნქციონირა ახალსოფლის საბავშვო ბაღმა მანამ, ვიდრე სუფსის სააღმზრდელო ცენტრი გაიხსნება. ასევე მან ისაუბრა აღსაზრდელების ტრანსპორტირების თაობაზე. მშობლებმა უნდა დაიქირაოს მიკროავტობუსი ან ისარგებლოს მუნიციპალური ტრანსპორტით, რაც ფასიანია და დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. მისი მოსაზრებით მუნიციპალური ტრანსპორტი საბავშვო ბაღს უფასოდ უნდა მოემსახუროს.

მარინა კედიამ განაცხადა, რომ სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელის გადასაწყვეტი არ იყო თუ სად აშენდებოდა თანამედროვე სტანდარტული საბავშვო ბაღი. მისი თქმით თუ მოგვარდება ბავშვთა ტრანსპორტირება მიესალმებიან ყველა სასიკეთო წამოწყებას.

გიორგი გოგუაძემ განაცხადა, რომ წლის განმავლობაში ბავშვთა ტრანსპორტირებისთვის დაახლოებით 100 000 ლარია საჭირო. ამ პრობლემის მოგვარების შემდგომ სააღმზრდელო ცენტრის მომსახურება იქნება სრულყოფილი. აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია მოაგვაროს არსებული პრობლემა.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების 2024 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის შესახებ ისაუბრა ცენტრის ხელმძღვანელმა **გოდერძი ქურიძემ.** მან აღნიშნა, რომ 1 365

000 ლარით არის წარმოდგენილი 2024 წლის ბიუჯეტი. სახელფასო ანაზღაურება დაახლოებით 900 000 ლარია, გათვალისწინებულია 10 %-იანი მატება, დანარჩენი კი სარემონტო სამუშაოებზე და სხვადასხვა აპარატურის შეძენისთვისაა გათვლილი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 4 კულტურის სახლია, 5 მუნიციპალური მუზეუმი, 18 ბიბლიოთეკა და 3 სახელოვნებო სკოლა.

კახა ასკურავა დაინტერესდა კულტურის ცენტრს თუ ჰყავს მუდმივი შტატიანი თანამშრომელი, რომელსაც 400 ლარზე ნაკლები ანაზღაურება აქვს. ხელმძღვანელის განაცხადებით, მხოლოდ ხელშეკრულებით აყვანილ თანამშრომლებს აქვთ 400 ლარზე ნაკლები ანაზღაურება.

გოდერძი ქურიძემ ისაუბრა ბიბლიოთეკების ფუნქციონირების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკების ფუნქციონირებისთვის ახალი ხედვებია საჭირო და სასურველია ხელმძღვანელებმა მოიპოვონ გრანტები. რამდენიმე ბიბლიოთეკას აქვს შესაბამისი, წარმატებული გამოცდილება.

ნინოშვილის მუზეუმში რთული სიტუაციაა, დაემატა სტიქიური მდგომარეობა, საგამოფენო დარბაზია ასაშენებელი, რომელიც სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომ ექსპონატები დაცული იყოს. ასევე იგეგმება მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

ირმა მგელაძემ განაცხადა, რომ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ერთი ოთახი, გადაცემული აქვს იურიდიულ კომპანიას, მაგრამ არ სარგებლობს. მუზეუმის ხელმძღვანელობას სურს უკან დაიბრუნოს ოთახი. რაზეც გოდერძი ქურიძემ განაცხადა, იგი საკითხთან დაკავშირებით არ არის კომპეტენტური და აუცილებლად გაერკვევა სიტუაციაში.

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, საკმარისია თუ არა სარემონტო სამუშაოებისთვის განკუთვნილი თანხა. რაზეც გოდერძი ქურიძემ განაცხადა, რომ აღმასრულებელი ხელმძღვანელობა სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გარკვეული თანხის დამატებას პირდება.

გივი ცინცაძემ აღნიშნა, რომ სუფსის თემში გამართულ თევზის ფესტივალზე მონაწილეობა არ მიიღო ადგილობრივმა კულტურის ცენტრის ბენდმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა, რადგან მოწვეული იყო სხვა მომღერლები.

გოდერძი ქურიძემ განაცხადა, რომ ბენდს აქვს თავისი მიმართულება, ასევე ითვალისწინებენ მოსახლეობის დაკვეთასაც. კულტურის ცენტრს ჰყავს ქორეოგრაფები, ლოტბარი და საკმაოდ მომზადებულები არიან, ნებისმიერ დროს შეუძლიათ გამართონ კონცერტი.

გიორგი გოგუაძემ განაცხადა, რომ კულტურის ცენტრში განხორციელდა ოპტიმიზაცია. შეერთდა მუზეუმი, ბიბლიოთეკები, სახელოვნებო სკოლები რომელსაც უნდა გამოეწვია ხარჯების შემცირება, მისი მოსაზრებით პირიქით გაიზარდა ხარჯები და ხელმძღვანელობასაც უჭირს პრობლემების მოგვარება. მან განაცხადა, რომ აუცილებელია გაერთიანებას გაემიჯნოს მუზეუმები და ბიბლიოთეკები, დარჩება მხოლოდ შემოქმედებითი სფერო. ასევე აღნიშნა, რომ 2024 წელს კულტურის ცენტრის ბიუჯეტი 1 500 000 ლარით უნდა განისაზღვროს, რომ სარემონტო სამუშაოებზეც საკმარისი იყოს.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: *შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის 2024 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტის შესახებ ისაუბრა* ***ლელი მშვიდობაძემ.*** *მან აღნიშნა, რომ 2024 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 207 300 ლარით. ამ თანხაში გათვლილია სახელფასო ანაზღაურების მატება 10% და 5000 ლარი ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების გასატარებლად.*

გურამ მახარაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ხელშეკრულებით გადმოეცათ

ჯომარდობისთვის საჭირო ინვენტარი. ასევე გადაეცათ ჩიბათში, მდინარე ფიჩორის პირას მოწყობილი ტურისტული ზონა. დაგეგმილი აქვთ ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა და მისი ორგანიზება.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ტურიზმთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებას სასურველია ახორციელებდეს შესაბამისი სამსახური და არ უნდა ერეოდეს მერიის სამსახურები. მან ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე ყოფილი ე.წ „მონადირეთა კავშირის“ შენობა გადაეცეს უნდა ტურიზმის ცენტრს, რომელიც ტერიტორიულადაც მისაღებია.

ამით სხდომამ მუშაობა დაასრულა.

პატივისცემით,

კახაბერ ასკურავა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების

სარეგისტრაციო ფურცელი
28. 11. 2023 წელი
15.00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – კახაბერ ასკურავა		
2. გიორგი გოგუაძე		
3. ირმა მგელაძე		
4. გივი ცინცაძე		